წელიწადი მე-2

ოთხშაბათი, 21 დეკემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

- გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური დამატებით 7 კ
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან ... ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ... გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ, ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 513 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 513


## დაიწყო ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა 1917 წლისათვის

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. ერთის თვით 1 50 კაპ., **ცალკე ნომერი 7 კ.**

თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისთანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
**დეპეშისათვის:** ქუთაისი „სამშობლო“.

რედაქტორი—ი. თ. ცინცაძე.
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო“.**


პარასკევს, 23 დეკემბერს
ქალაქის თეატრში
შესდგება
გალაკტიონ ტაბიძის
ს ა ღ ა მ ო.
**ბილეთები იყიდება.**

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი
ორშაბათიდან, 16 დეკემბრიდან ახალი პროგრამა
ნაჩვენები იქნება უმაღლესი ნებართვით ცნობილ პოლკოვნიკის ესაძეს მიერ გადაღებული კავკასიის მამაცი არმიის
გასაოცარი გმირობანი — ეს სურათი ბრძოლის ველზეა გადაღებული, ზარბაზნებისა და თოფის სროლის დროს.
ეს სურათი კავკასიის ჯარის მამაცობის მთლიან სურათს იძლევა.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი
ორშაბათიდან, 19 დეკემბრიდან საუცხოვო მხატვრული დრამა.
ცოდვა — თანამედროვე დრამა 5 ნაწ. ცნობილ მსახიობთა მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობით.

**ექიმი** ი. ჩარიძოვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი: ლვოვსკის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ზოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ **ავადმყოფთათვის.** ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ
6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ

**ექიმი** ა. დ. **მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულ-სუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული)

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავადმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე
პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ექიმი მულინი,** ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თბილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

**ოდესის საგებიო კურსებ დამთავრებული**
**ბებია ხ. ს. ნემსაძისა** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, ბებეშვილის სახლები, ფოსტის მახლობლათ

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**თუ თქვენ თვალები გტკივა, ან თვალთ დაგაქვს გადაკრული**, მიმართეთ ქ. ქუთაისში თეთრ ხიდ გაღმა ...

**მასაჟისა და სახის სამკ კაბინეტი**
**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი № 17.

**ს.-მ. ბ. მიწის მზომელი** ვ. ს. ასათიანი
ადგენს მამულების პლანებს, აწვდის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ-აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ-მამულთა შესახებ. მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში, „ჩვ. მ.“ და „სამშ.“ რედაქცია; ან პროვიზ კახიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ. ჭიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან.

**დოქტორი მედიცინისა**
**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**
ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**იყიდება** სახლი და მამული 2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ., № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ თბილისში მახვილის ქ. № 113, **ექიმ გოკიელოვს.**

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საატესტატო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით მისამართი: თბილისის ქ № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“ ს...

ოთხშაბათს, 21 დეკემბ., საზოგადო საკრებულოს
დარბაზში, გაიმართება ტრადიციური
ლიტერატურულ-მუსიკალური
საღამო, ლოტარეია და ცეკვით, ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.
ბილეთები იყიდება საზოგადო საკრებულოს შენობაში საღამოს 4 საათიდან. გასათამაშებელი ნივთები გამოფენილია საკანდიტერო „რეიმსში“.


## განცხადება.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მცხოვრებლებზე **შაქრის** გასაყიდათ მან შემოიღო ეგრეთ წოდებული

## „ბარათების სისტემა“

ამისათვის ის იწვევს **ოჯახის უფროსებს**, რომელთაც სურთ ბარათების მიღება, გამოცხადდენ ქალაქის გამგეობის სადგომში და განუცხადონ თავისი ოჯახის მდგომარეობა (რამდენი სულია ოჯახში) ბარათების შემდგენელთ. უკანასკნელნი, ბარათებში საჭირო ცნობების აღნიშვნის შემდეგ, გადასცემენ მათ ოჯახის უფროსებს, რომელთაც უნდა გადიხადონ ორ-ორი შაური.

ქუთაისში არსებულ **დაწესებულებათა უფროსებმა** ქალაქის გამგეობიდან უნდა წაიღონ ბარათები, შეავსონ საჭირო ცნობებით და დაურიგონ მოსამსახურეებს; ქალაქის გამგეობას კი უნდა დაუბრუნონ ბარათების ნაკიდური („კორეშოკი“) და თითო ბარათის ფასი ორ-ორი შაური.

ბარათების შედგენა მოხდება: **კვირას,** 18 დეკემბერს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდი; ხოლო **სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს**—საღამოს 4 საათიდან 8-მდი. იმ შემთხვევაში, თუ ამ ოთხ დღეში ვერ მოესწრო ბარათების შედგენა მუშაობა შემდეგს დღეებშიაც გაგრძელდება.

**ამასთან ქალაქის გამგეობა აფრთხილებს მცხოვრებლებს, რომ ის პირნი, რომელნიც ყალბ ცნობებს მიაწვდიან ბარათების შემდგენელთ თავისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ, ან ერთ ბარათზე მეტს მიიღებენ, სრულიად დაკარგავენ ბარათებს და თან სასტიკად დაისჯებიან სისხლის სამართლის წესით.**

## მსოფლიო ომი.

18 დეკემბერს

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. კოლდიჩევოს ტბის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა მტრის სადარაჯოზე იერიში მიიტანეს და ტყვეებიც წამოიყვანეს. ოგინის არხზე, ნოვინკას სამხრეთით, მზვერავთა ჯგუფმა გერმანელ აფიცერთა სადარაჯოზე იერიში მიიტანა. ხიშტებით შეჯახების მერე მტერი გაიქცა; ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დაჭრილები სბოროვის დასავლეთით, სოფ. პრისოვცეს დასავლეთით მდებარე ხრამში ზარბაზნის სროლით გავფანტეთ მტრის 3 როტა. მდ. ბისტრიცაზე სოფ. პაციკოვის მიდამოებში მტრის წინ წამოწეულ სანგარზე იერიში მივიტანეთ, შიგ მყოფთაგან ზოგი დავხოცეთ, ზოგი დავატყვევეთ. მათ შორის დაჭრილი აფიცრები. სოფ. რიბნოს სამხრეთით ჩვენი ზარბაზნები მარჯვედ უშენდნენ მტრის ბატარეას მოლდავიის ...

... სანგრებზე. განმეორებითი იერიშებით მან მოახერხა რამდენიმე მაღლობის აღება და ჩვენი ჯარის დახევა აღმოსავლეთისაკენ ჩვენი ჯარი ახალ ადგილებზე მაგრდება სოფ. სერეას ჩრდილოეთით და სოფ. სესმეზოს აღმოსავლეთით და სოფ. აღმოსავლეთით და დასავლეთით.

**კავკასიის ასპარეზზე.**

ცვლილება არ მომხდარა.

**რუმინიის ასპარეზი.**

მდ. კასინის ზემო ნაწილში, მოლდავიის მიჯნაზე, სოვეჯის დასავლეთით მდ. სუშიცას სათავეში და მდ. პუტნას დასწვრივ, ს. სოსას დასავლეთით მტერს მედგარი იერიშები მოაქვს. რიმნიკ-სერატის ჩრდილო აღმოსავლეთით, მოპირდაპირე ძლიერის ჯარით, მძიმე და მსუბუქ ზარბაზნების დახმარებით მედგრად აწვება რუმინელებს, განსაკუთრებით რკინის გზის გასწვრივ. მან მოახერხა სოფ. ბოლდესჩინის აღება მდ. რიმნაზე და ჩვენს ჯარს სოფ. ბალესჩისთან, რიმნიკ-სერატის ჩრდილოაღმოსავლეთით 15 ვერსზე უკან და...

19 დეკემბერს.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ზბოროვოს ჩრდილო-დასავლეთით პრისოვცეს მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა იერიში მიიტანეს მტრის სადარაჯოზე, ნაწილი დახოცეს, ნაწილი ტყვედ წამოიყვანეს. კონიუშკის დასავლეთ მიდამოებში მტრის სადარაჯოს ზურგიდან მოექცნენ, მათ თხრილებში შეიჭრნენ და 9 კაცი დაატყვევეს მოლდავიის საზღვრებთან ზარბაზნების დაშენის შემდეგ მოპირდაპირემ მედგარი იერიშები მოიტანა მდ. სულტას ველში და მის სამხრეთით. იერიშები მოვიგერიეთ სროლით და სამაგიერო იერიშებით მდ. დოვტიანის ჩრდილოეთ მიდამოებში და მდ. ოიტუზის სამხრეთით მდებარე ველში ცხარე ბრძოლა გრძელდება. მოპირდაპირეს აქ მაშველი ჯარი მოუვიდა, მან განმეორებით იერიშები მოიტანა და მდ. ოიტუზის სამხრეთით მდებარე რამდენიმე მაღლობი ხელთ იგდო და იძულებული გვყო ახალ პოზიციებზე გადავსულიყავით. 14 დეკემბერს ამავე მიდამოებში ჰაერში ბრძოლაც მოხდა. ჩვენმა მფრინავმა პრაპ. ბეტროჟეცკიმ შეფოლყურე პრაპ. ზარტონის დახმარებით ჩამოაგდო მტრის ერთი საფრენი, რომელიც მდ. სლონიკის ველში დაეცა. მფრინავები დავატყვევეთ.

**კავკასიის ასპარეზზე**

არსებითი არაფერი მომხდარა.

**რუმინიის ასპარეზი** მდ. კასინის ზემო ნაწილში მოპირდაპირე მედგარი იერიშებს განაგრძობს, მოლდავიის მიჯნებთან; რუმინელები იერიშებს იგერიებენ. სოვეჯის ჩრდილო-დასავლეთ მიდამოებში, სუშისცეს ზემო მდინარეობასთან, რუმინელებმა მტერს შეუტიეს და ხელთ იგდეს ბევრი ტყვეები და ტყვიისმფრქვეველთა რაზმი. მოპირდაპირემ დილიდანვე დაიწყო შემოტევა სოფ. კოსასთან, რუმინელთა ბრძოლის ხაზზე, მდ. პუტნას ზემო მდინარეობასთან. აქ მაღლობები ხელიდან ხელში გადიოდა და ბოლოს მოპირდაპირის ხელში დარჩა. ფოქშანის სამხრეთ-დასავლეთით, 20 ვერსზე, ს. ბოდესჩისთან, და ფოქშანის ჩრდილოეთით მტერი იერიშების მოტანას განაგრძობს. ჩვენმა და რუმინელების ჯარმა იერიშით განდევნა მტერი სოფ. ბოდესჩისთან, რომელიც წინა დღით მოპირდაპირემ აიღო; მტერმა განმეორებით იერიშებით მოახერხა რუმინელების უკან დახევა ბუზეო ფოქშანის რკინის გზის ჩრდილო-დასავლეთის მიდამოებში. ამავე გზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ. სლობოძეისთან რამდენიმე იერიშის შემდეგ მოპირდაპირემ უკან დაახევინა ერთ ერთ ჩვენი პოლკის ნაწილს, მაგრამ ვაჟკაცური შეტევით თხრილები ისევ დავიბრუნეთ ბუზეო-ბრაილოვის რკინის გზის მიდამოებში სოფ. ბორდეშვერდესთან, ამავე გზაზე მდებარე ს. სტიანკის სამხრეთით მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. კაზაკთა პოლკის ერთი ასეულის უფროსმა ს. ბორდესჩი-ოტრანკას სამხრეთ დასავლეთით იერიში მიიტანა, 30 აკუწა, 35 ავსტრიელი ტყვედ წამოიყვანა. დღეს, ცხარე ბრძოლის დროს, მოჰკლეს რუმინელთა ერთი ქვეითა პოლკის უფროსი პოდპოლკოვ. ბოტეზი, ხოლო მეორე პოლკის უფროსი მაიორი ჯარისნი დაჭრილი, ჭრილობის შეხვევის ...

# ომის დღიური.

— —

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** სამხრეთის ნაწილში მზვერავ და მოწინავე რაზმების შეტაკებანი ხდება ალაგ-ალაგ.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი** მაასის მარჯვენანაპირზე „304“ მაღლობის და სავლეთით გერმანელებს მძლავრი იერიშები მიჰქონდათ და რამდენადმე წინ წაიწიეს.

**რუმინიის ასპარეზი.** ოკნისა და ფოქშანის მიმართულებით გერმანელები შეტევას განაგრძობენ. ავსტრიელები ქ. რიმნიკს მიადგნენ ბრაილოვზე გერმანელ ბულგარელები ამ ჟამად 35 ვერსით არიან დაახლოვებულნი. ჩრდილოეთ დობრუჯაში ამ ჟამად ბრძოლა დუნაის ახლოს სწარმოებს.

---

ბის დახმარებით მტერმა ძლიერის ჯარით შემოგვიტია სოფ. გრეჩის ჩრდილო აღმოსავლეთით 4 ვერსზე. ბრიალოვის სამხრეთ აღმოსავლეთით 20 ვერსზე მოპირდაპირემ სამჯერ მოიტანა იერიში. ორი იერიში მოვიგერიეთ და დიდი ზიანიც მივაყენეთ, მესამე იერიშით კი მედგარი ბრძოლის შემდეგ მტერმა მოახერხა ჩვენი ბრძოლის ხაზის შუაგულში მაღლობის აღება.

18 დეკემბერი.

**ოდესა.** ბრიალოვიდან მოსულთა გადმოცემით, ბოლო ხანებში ძრიელ გახშირდა მფრინავთა თავდასხმა. გერმანელ-ბულგარელნი უშენენ ჰაეროპლანებიდან ქალაქს ყუმბარებს, ხალხი გარბის და მრავალნი, რადგან სხვა საშუალება არა აქვთ, ილტვიან იალქნიან ნავებით.

**სტოკჰოლმი.** დანიის, შვეციის და ნორვეგიის მთავრობებმაგადასცეს მეომარ სახელმწიფოებს ერთად შემუშავებული ნოტა შემდეგი შინაარსისა: „სკანდინავიის სამი მთავრობა თანახმად ვილსონის წინადადებისა, რომელიც მიმართულია მკვიდრ ზავის ჩამოგდებაზე, თავის თავს მოვალედ სთვლის ხელი შეუწყოს დამღუპველი სისხლის ღვრის შეწყვეტას და მოუხმობს მეომარ სახელმწიფოებს ზავისაკენ; და ამასთანავე გამოსთქვამენ იმედს, რომ ვილსონის ნაბიჯი უშედეგოდ არ ჩაივლის.“

**ოდესა.** ჩვენმა წყალქვეშამ ჩასძირა ბოსფორის პირად დიდი სატრანსპორტო გემი ოსმალთა, რომელიც საკრეისერო დანიშნულებას ასრულებდა.

**პეტროგრადი.** სახელმწიფო საბჭოს წევრი, სასახლის ობერ კამერგერი შტიურმერი დანიშნულ იქმნა საგარეო სამინისტროს უწყებაში ზემოხსენებულ თანამდებობათა შენარჩუნებით.

19 დეკემბერი.

**პარიზი.** საზღვაო სამინისტრო იტყობინება: 14 დეკემბერს ხმელთა შუა ზღვაში წყალქვეშამ დაჰლუპა ჯავსნოშანი „გოლუა“, რომელიც ნახევარ საათში ჩაიძირა.

**სტოკჰოლმი** ბუდაპეშტიდან იტყობინებიან: დღეს ტრადიციულის ზეიმით დააგვირგვინეს მეფე და დედოფალი. მეფემ ძველის ჩვეულებისამებრ ოთხივე კუთხეს წმ. სტეფანეს ხმლის მოქნევით ჯვარი გამოსახა.

**პარიზი.** ოფიც. ცნობა მახლობელ აღმოსავლეთისა. მონასტირის მიდამოებში ცხარე ბრძოლაა.

**ტოკიო.** ჩიფუსთან დაიღუპა იაპონიის გემი „ხანკაკუმარუ“. დაიხრჩო 300 კაცი. 65 გადარჩა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ზავის გარშემო** როგორც სტოკჰოლმიდან იტყობინებიან სკანდინავიის სახელმწიფოებსა, ისპანიასა და ჰოლანდიის შორის ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს. მათ აზრადა ჰქონიათ ამერიკასა და შვეიცარიასთან ერთად მეომარ სახელმწიფოებს ზავის ჩამოგდება მოსთხოვონ.

— გერმანელ სოციალდემოკრატთა ორგანო „ფორვერცი“ სწერს: „საფრანგეთის ხალხი ვერც წარმოიდგენს რამდენად ხელსაყრელია ზავის ამ ჟამად ჩამოგდება; ამიტომ იგი უნდა ცდილობდეს ისარგებლოს ამ შემთხვევითაო.

— შეერთებულ შტატების წინადადებით ბრაზილიაც მოითხოვს ზავს.

**რუმინეთი.** რუმინეთის მინისტრთა კაბინეთი მხოლოდ ეხლა გამოიცვალა. ბრატიანო ისევ პირველ და საგარეო მინისტრად დარჩა. დანარჩენი მინისტრები სულ მოკავშირეთა მომხრეები არიან და ვერც ერთს მათგანს გერმანოფილობა არ დაეწამება.

— აღმოსავლეთ მოლდავიის ქალაქებს გამუდმებით თავს დასტრიალებენ გერმანელ ბულგარელთა საფრენები და ყუმბარებს უხვად უშენენ სხვა და სხვა შენობებსა და მატარებლებს.

— რუმინეთის მოსაზღვრე ქალაქებიდან გალიციიდან და ბრაილოვიდან სახაზინო დაწესებულებანი უკვე გადაუტანიათ რუსეთში, ეხლა კიდევ მშვიდობიანი მცხოვრებლები სტოვებენ ქალაქს და რუსეთისაკენ მიემგზავრებიან.

— ამერიკული გაზეთები სწერენ: უმჯობესია მეომარ სახელმწიფოთა შორის ფარული მოლაპარაკება მოხდეს, რადგანაც ზავის პირობათა გამოქვეყნება ყაყანს გამოიწვევსო.

— ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებიდან მოსული ცნობები ირწმუნებიან რომ მთელ რესპუბლიკაში სამხედრო იარაღის დამმზადებელი ქარხნების აქციების ღირებულება წარმოუდგენელის სისწრაფით დაეცა. ამას გაზეთები ზავის მოახლოვებას აწერენ.

— ინგლისის გაზეთები ერთხმად უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ნეიტრალ სახელმწიფოთა მიერ ზავის მოთხოვნის გამო.

— შვეიცარიის გაზეთები სწერენ: „ამერიკა აქამდე სარგებლობდა ომით, მაგრამ რაკი ეხლა მეომარი სახელმწიფოები სამხედრო მასალას თვით ამზადებენ. ამერიკას მხოლოდ ზარალი მოსდის ამის გამო და ამიტომ საჭიროდ სცნო ზავის ჩამოგდებაო.“

**საბერძნეთში** უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში მთელ საბერძნეთში სიწყნარე ჩამოვარდა. ლამბრას განუცხადებია მოკავშირეთათვის ზნეობრივ დაკმაყოფილებას მიიღებთ 18—19 ნოემბერს ათინაში მომხდარ სისხლის ღვრის გამოვო.

— საბერძნეთის მთავრობა დატუსაღებულ ვენიზელოსთათვის მოკავშირეთა წარმომადგენლებს ამნისტიას დაპირებია.

— რაკი მოკავშირეებმა ვენიზელოსის მთავრობის არსებობა კანონიერად სცნეს, პეტროგრადში მოელიან „საბერძნეთის ეროვნულ მთავრობის“ დესპანს.

— მოსკოვის გაზეთების სიტყვით ათინასა და ბერლინს შორის ამ ჟამად გახურებული მიწერ მოწერაა გამართული უმავთულო ტელეგრაფის შემწეობით. ხსენებულ გაზეთების აზრით მეფე კონსტანტინე ბერლინიდან კვლავინდებურად ღებულობს დარიგებას.

## კიდევ ძველი გზით.

მეტად ძნელი ყოფილა თურმე ერთხელვე შეთვისებული, ყალბი შეხედულების თავიდან მოშორება. ამის საუკეთესო მაგალით „თანამედროვე აზრში“ მოკალათებულ პუბლიცისტების დღევანდელი აზროვნება წარმოადგენს.

მკითხველს. ემხსოვება, როგორ მორიდებულად სწერდენ, ლაპარაკობდენ ამ გაზეთის თანამშრომელნი მსოფლიო ომის დაწყების პირველ ხანაში.

საერთაშორისო ძმობა-ერთობის სოლიდარობის მქადაგებელი პარტია სრულიად უძლური შეიქნა აეშორებია კაცობრიობისათვის უეცრად მოვლინებული უბედურება.

განწირული ინტერნაციონალიზმი იძულებული გახდა მოეხარა ზვიადი ქედი.

ამის შემდეგ ჩვენ მოწმენი გავხდით მისთანა ამბებისა, რომელთაც კიდევ უფრო მეტათ გაუტეხეს სახელი ისედაც გამტყუნებულ ინტერნაციონალიზმს.

ჩვენ გვეგონა, რომ ამას გაკვეთილათ გამოიყენებდენ ჩვენი ქვეყნის ინტერნაციონალისტები, შეიტანდნენ საჭირო კორექტივებს თავიანთ მოძღვრებაში; მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა.

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, ისინი კვლავ ახმაურდენ და დაიწყეს ძველებურათ წერა და ქადაგება.

ბ—ნ ივ. გომართლის მიერ მოთავსებულ წერილის გამო „თეატრსა და ცხოვრება“-ში, რომელშიაც პატივცემული ავტორი აღიარებდა ქართველების ერთობის საჭიროებას გარეთ, უცხოთა წინაშე,-ერთი აურზაური და ალიაქოთი ასტეხეს ჩვენმა დასელებმა; ინტერნაციონალისტური იდეის მოღალატეთ გამოაცხადეს იგა და კინაღამ ჯვარს არ აცვეს პატიოსანი და გულწრფელი ადამიანი, რომელმაც ეროვნული მთლიანობის და ერთობის შესახებ გაბედა და ამოიღო ხმა!

„თანამედროვე აზრი“ ს პუბლიცისტები თურმე დღესაც ღრმათ არიან დარწმუნებულნი, რომ მათი მოღვაწეობის წყალობით ქართველი დემოკრატია, რუსეთის და კავკასიის დანარჩენ ხალხზე გაცილებით უფრო შეგნებული და დაწინაურებულია მათზე უფრო მეტად არის გამსჭვალული საერთაშორისო ძმობა-ერთობის იდეით, რადგან თავის ეროვნულ „მე“ზეუფრო ნაკლებ ზრუნავს ეროვნული თავდაცვის საკითხით ისე არ არის გატაცებული, როგორც სხვა ერები რუსეთში და კავკასიაში.

დასელების შეხედულებით მხოლოთ ის ხალხი უნდა ჩაითვალოს მოწინავე აზრების მატარებლათ რომელიც არ გამოდის ეროვნული მოთხოვნილებით ნაციანალური დროშით.

ამ ყოვლად შეუწყნარებელი და ყალბ შეხედულების თანახმათ ჩვენ მართლაც მეტათ განვითარებული და დაწინაურებული ხალხი ვყოფილვართ, დაწინაურებული. ვიდრე ინგლისი, გერმანია, ან საფრანგეთი, რომლებიც თავიანთი შეუგნებლობის გამოისობით გართულნი არიან უნაყოფო და გამოუსადეგარ ნაციონალურ ბრძოლაში და ჩვენზე უფრო შეგნებული და პროგრესიული ყოფილან ბაშკირები, ყირგიზები, ან ოსები და ლეკები, რადგან მათში სრულიათ თუ არა ძლიერ სუსტათ არის განვითარებული ეროვნული თვითშეგნება!

აი, რანაირ აბსურდამდე შეიძლება მიგვიყვანოსთ „თანამედროვე აზრის“ ... პუბლიცისტების დოკტრინიორობას.

ქართველი ხალხის ეროვნული სიბეჩავე და მოუმზადებლობა, მისი ინდიფერენტიზმი ეროვნული საკითხისადმი, დიდი პროგრესიულ მოვლენად არის აღიარებული ჩვენი ქვეყნის მხნელ სოციალისტურ ინტელიგენციის მიერ.

მაშ კიდევ ძველებური გზით სიარული კიდევ ძველი, დახავსებული ჩვენი ქვეყნის ნორმალური ვითარების შემაფერხებელი იდეების ქადაგება!? ვერც წარსულის გაკვეთილებმა, ვერც თანამედროვე საერთაშორისო ქარტეხილმა ვერ იქონია გავლენა ჩვენებურ მართლმორწმუნე მარქსისტებზე. ისინი დღესაც კიდევ განაგრძნობენ სიარულს ძველი, ნაცადი გზით, მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ, რომ ქართველი ხალხი, რომელსაც არაფერი არ გაეგება არც მარქსიზმისა და არც სხვა სოციალ პოლიტიკურ თეორიებისა, უფრო სწორ და გარკვეულ გზას დაადგება, უფრო კარგათ აუღებს ალღოს დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნილებას და თავის ბედის გამგებელი თვითონვე შეიქნება, მხოლოთ მაშინ თუ განთავისუფლდება იგი სხვა და სხვა ჯურის ინტელიგენციის დამღუპველ აპეკისაგან და შეეძლება საკუთარი ძალღონით გაიკაფოს გზა უკეთესი მერმისის შესაქმნელათ.

ის.

## ომის შემდეგი.

როგორი იქნება ჩვენი მდგომარეობა ომის შემდეგ? ჩვენი ბედი რამდენადმე, რასაკვირველია, რუსეთის საქმეების წარმატებაზე, მაგრამ უმთავრესად თვითონ ჩვენს საკუთარ ინიციატივასა და გონიერებაზე იქმება დამოკიდებული.

უეჭველია, მეზობლები შემოგვეჭრებიან და ჩვენი მიწაწყალის მისაკუთრებას მოინდომებენ. მაშასადამე, უმთავრესად იმას უნდა ვუგდოთ ყური, რომ მამა-პაპისეული ადგილ-მამული ხელიდან არ გავუშვათ.

მეორე, ჩვენი საპარლამენტო პოლიტიკა ძირიანად უნდა შევსცვალოთ და ჩვენს დეპუტატებს, როგორი მიმართულებისაც არ უნდა იყვნენ, უმთავრესად ჩვენ ეროვნულ უფლებათა დაცვა უნდა დავავალოთ.

მესამე, შინაურ ცხოვრებაში უმთავრესად კლასთა ბრძოლა კი არა, არამედ

---

## უპატრონო ოჯახი.

**(სურათი მიმდინარე ამბებიდან)**

— მე ხვალვე უნდა წავიდე!.. შენ კი ცრემლი არ დამანახვო! მე მძულს ცრემლი! მძულს მიტომ, რომ ოხვრა-კვნესა და გულის კვლა ფუჭია! თავს ზევით ვერ ახტები! შეუძლებელს ვერვინ იქმს! და როცა შეუძლებელია გაექცე თავზე დამტყდარ უბედურებას, ისევე სჯობია მხნედ შეებრძოლო გასაჭირს!

ცუდათ წავიდა ჩვენი საქმე! და განა მარტო ჩვენი?—ყველასი, მთელი ქვეყნის! მარტო შენ არ იქნები მაგ ბედში! ქვეყანა ტანჯვის ალშია გახვეული და, რა გზა გვაქვს, ჩვენც უნდა ვიტანჯოთ!

მოიხედე! ნუ ღვრი ცრემლებს!—ახლა, ამ გაჭირვების დროს გმართებს მხნეობა. თვარა ლხინში ნაცარქექიაც კი გმირია! აი, ახლა გამოჩნდება, რამდენათ ყოჩაღი ხარ! ახლა გამოჩნდება ღირსი ხარ თუ არა შენ (და თქვენ ყველა—ქალები) მამა-კაცთან გათანასწორების!

ჯავრი კაცის მკვლელია! ამიტომ: ცოტა დარდი და ფიქრი შენს უბედობაზე და ბევრი მხნეობა-გამრჯელობა.

ოჯახს უპატრონე! სწავლა დიდი განძია და ამიტომ ეცადე მიხო სწავლას არ მოაცდინო; სანდრო ენკენისთვეში მიაღებიე. თამროს და ოლღას კი ჯერჯერობით შინ დაუწყე სწავლება წვრთნა...

კიდევ გიმეორებ: არ გაგიწყრეს ღმერთი და დარდებს არ მისცე თავი! თვარა ამას მეტათ ცუდი გავლენა ექნება ბავშვებზედაც. როგორც სმა ჭამაა საჭირო ბავშვთათვის, ისე საჭიროა მხიარულობა, სიცილი, მხიარული ცხოვრება. წინაღმდეგ შემთხვევაში, გული წაუხდებათ, ხასიათი გაუფუჭდებათ. დასუსტდებიან, დაიწყებენ ავათმყოფობას და აქ მიზეზი შენ იქნები! შენი თავი მარტო შენ არ გეკუთვნის! საზრუნავი სხვაცა გყავს!

იყავი ყოჩაღათ! და თუ ბედმა გაგვიღიმა და [illegible]

რებას, რომ ყველას უკვირდეს, და თუ ვერ ვეღირსო ამ ბედნიერებას და უკანასკნელი ღამე იქნეს ეს ჩემთვის,—მაშინ .. როგორც გინდა ქვეყანა დიდია!!. მოაგვარებ რასმეს ან სხვა პატრონს მონახავ... მხოლოდ ბავშვები...

აქ ორივე ცოლქმარს გრძნობამ სძლია და აქვითინდენ...

წავიდა ნიკო! ღარიბი ოჯახი ობლათ დარჩა! სალომე მართლაც გაორკეცებული ენერგიით ეკვეთა ოჯახის საქმეებს. მაგრამ უზომო შრომამ წელში გატეხა, დაიწყო ავათმყოფობა, შემოდგომაზე სიმინდის ყანებიდან ზიდვის დროს გაცივდა და ძლიერ ავათ გახდა.

ფილტვების ანთება ძნელი რამეა. და თუ კარგი მომვლელი არ არი, ხომ...

და ასეთი ბედი ეწვია სალომესაც!..

ნიკო ომში დაიჭრა სუბუქათ და სამიოდე თვის აქიმობის შემდეგ ნება მიეცათ ათიოდე დღით შინ ჩამოსულიყო. და ჩამოვიდა სწორეთ მაშინ, როცა სალომე ამ ქვეყნის აღარ იყო! მიცვალებულს პატარა ბავშები თავს დაჩხაოდენ და მხოლოდ ერთი მეზობელი მოხუცი ქალი იყო იმ ღამეში მათი ნუგეშის მცემელი. და ამ დროს მოვიდა ნიკოც!...

„კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო. და მართლაც! სიღარიბისაგან წელში გაწყვეტილ ოჯახს, რაღა ეს მეხი ეპირებოდა!

— —

გაასვენეს. გულმოკლულმა ნიკომ ოჯახის აწეწილ-დაწეწილ საქმეებს მიყო ხელი მაგრამ სანამ საგრძნობლათ გამოასწორებდა საქმეს, სტაცეს ხელი და გაუძახეს ბრძოლის ველისკენ! ვიღაცას დაებეზღებია: გამოპარულიაო.. ღმერთი ხატიოფიცებოდა ნიკო. მაგრამ რაკი ამ ხანათ თავისუფლების ვადა უკვე გასულიყო, აღარაფერი ეშველა!

— ხალხო! ჩემი ბავშვები თქვენ გებარებოდეს! წამოიძახა სასოწარკვეთილებით ნიკომ—როცა-ის იყო, ეხოს გაშორეს.

— გვებარებოდის! ნუ გეშინიათ,-მიაძახა ორმა—სამმა

— გვებარებოდეს! მაგრამ რამდენს ვუპატრონოთ!!—წამოიკნავლა ვიღაცა მოხუცმა და აქვითინდა.

ბავშებს კი შემოეხვიენ გარს ქალები და აყუჩებდენ...

— ხალხო! ჩვენი ვალია მივხედოთ უპატრონო ოჯახსო-მიმართა ხალხს შემთხვევით იქ მოსულმა მასწავლებელმა-

— ვუპატრონოთ—ყველამ დაუმოწმა.. უპატრონებენ კი?

ნეტავი მართლა ..

გერასიმე გაფრინდაშვილი.

---

## № 21 †

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ ფელეტონში „№ 21 ჯვრით“ შეცდომით დაიბეჭდა პირველი ვარიანტი უკანასკნელი გამოსვლისა.

**უნდა იყოს:**

**გამოსვლა IX მეხუთე მოქმედებისა.**

(მოისმის კარების მედგარი რახუნი და ჟღარა-ჟღური. ირაკლი ყურს წააუგდებს, განო გაშტერებული ნელ-ნელა ზეზე დგება. კიდევ მოისმის რახუნი. ირაკლი გადახტება და ისევ ფარდას ამოეფარება, განო კარებს აღებს და შემოდის როტმისტრი მჭედლიევი, უკან მოსდევს ვახმისტრი და რამდენიმე ჟანდარმი.)

**როტმისტრი.** (აჩქარებულად, ქალს რომ დაინახავს ღიმილით) დეპეშამ დაიგვიანა... სად არის ჩემი მეგობარი, მაჩვენეთ ჩემი ძვირფასი ლეონ ბერგი!...

**განო.** (მოკუნტული, მობღუნძული, სახე შეშლილი, ამოიკვნესებს) ვინა გნებავთ?

**როტმისტრი.** (დააცქერდება განოს, მერე რამდენიმე ნაბიჯით უკან გადახტება, და რიხ-დაკარგული, სათვალეებს მოიხსნის, თვალებს იფშვნეტს.) ბაბალე, შენა ხარ? აქ რა გინდა, საიდან გაჩნდი? (უნდა მივარდეს და ხელები დაუკოცნოს) (მაგრამ ისევ უკან დაიწევს, წარბებს შეიკრავს და სევდანარევისა და თან ცბიერის ღიმილით ეტყვის) [illegible] შენა

გქვიან განო ლიმაური? განა შენთვის მეხვეწებოდა ლეონ ბერგი:—ხელს ნუ ახლებო?!

**განო.** (გონება დაბნეული) რა გინდათ აქ? ვინა გნებავთ?

**როტმისტრი.** ველარ მიცანი? მე ხომ ერთს დროს შენი მეზობელი ვიყავ... შენი პირველი სატრფო, შენი კირილე. (არეული) ხა, ხა, ხა! რა უცნაური შეხვედრაა... რა დაცინვაა ბედისა! რა დამცირებაა ადამიანისა! განა იმიტომ გამომექეც მე—ჟანდარმს,—რომ მერე ჩემს ჯაშუშს დასჯდომოდი ხასად? ხა, ხა, ხა!...

**განო.** (შეშლილივით) ვინა გნებავთ? რას ამბობთ?

**როტმისტრი.** (დაცინვით) მე ჯერ მინდა ვნახო ჩემი მეგობარი ლეონ ბერგი და მერე კი შენ გაგისწორდები!

**განო.** (სულ მთლად მოსწყდება, ბარბაცებს, ფითრდება, კანკალებს, სცდილობს გონს მოვიდეს, ყველაფერი გაითვალისწინოს, ასწონ დასწონოს.)

**ბერგი.** (გამოიღვიძებს) განო! განო!

**განო.** (ბერგთან მიირბენს. ამღვრეულის თვალებით დააშტერდება) ლეონ! სადა ვართ? ვინა ვართ? (ისევ გამოიქცევა, წაავლებს შვილიევს ხელს და ბერგთან მიათრევს) ლეონ... ლეონ, ვინ არის ეს შენი?

**ბერგი.** (შეკრთება, უცნაურის, არაადამიანურის ღიმილით, ზეზე წამოიწევს.)

**როტმისტრი.** როგორა ხარ, ჩემო მეგობარო. მადლობა ღმერთს, გადაურჩი იმ ძაღლებს!

**განო.** (თმაში ხელებს იტაცებს უცნაურის ხმით) მაშ... ყველაფერი მართალია, ლეონ?

**ირაკლი.** (რევოლვერ ამოღებული გამოვარდება) ყველაფერი მართალია, ჩემო განო, ხალხისა და შენი ერთგული ირაკლი შენ არ მოგატყუებს! ვაი რომ შენც დაიღუპე და აღარც მე მინდა უშენოს სიცოცხლე! (უნდა ესროლოს როტმისტრს, მაგრამ კარებთან მდგარი ჟანდარმი გად-

იმგვარივე კულტურული, ორგანიული, მუშაობა უნდა ვაწარმოოთ, როგორსაც პოლონელები წარსული საუკუნის მესამოცე წლების გასულიდან აწარმოებდენ, ე. ი. უნდა განვავითაროთ ინტენსიური მეურნეობა, ხელოსნობა, ტეხნიკა, ვაჭრობა, კოოპერატივები და სხ. ერთი სიტყვით, ჩვენ სამშობლოს დედა მიწას ერთი ასად მეტი სარგებლობა უნდა გამოვალებინოთ იმაზე, რასაც დღეს გვაძლევს რაც შეიძლება, მეტი იაკობელობა და, რაც შეიძლება, მეტი ორგანიული მუშაობა,. აი რა უნდა გვქონდეს ლოზუნგად.

სასოწარკვეთილებას მხოლოდ ლაჩარნი ეძლევიან. და ჩვენებრ ნორჩს, გაულახავს, ახალგაზდა ერს, მხოლოდ სულის სიმხნე შეჰფერის.

დიაღ! იმედი არ უნდა წარვიკვეთოთ. უნდა ვიცოდეთ კი, რომ მოუფიქრებელისა და აჩქარებული ნაბიჯის გადადგმა ჩვენთვის ყოველთვის საბედისწერო და სახიფათო ყოფილა, და, მაშასადამე, უნდა გვახსოვდეს ბრძნული ნათქვამი: „ასჯერ გაზომე და ერთხელ გადასჭერიო".

თუ ფრთხილად ვიქნებით, მტერი ვერაფერს დაგვაკლებს!

ვასილ წერეთელი.

# ქართველი გრიგორიანები

(დასასრული*)

რეალურ პირობებს, როგორც ვსთქვით, ჩვენც ვუწევთ ანგარიშს, თუმცა არა ისეთი აბსოლუტური სახით, როგორც ამას გვირჩევს ქართველი სოც.-დემოკრატიული პრესა. ეს უკანასკნელი ამბობს—რაც არის, ის უნდა იყოს კიდეც, სინამდვილის წინაშე ქედი უნდა მოვიხაროთო. ჩვენ კი ამ დებულებას ვსაზღვრავთ. ჩვენი შეხედულობით, არა ყოველივე რაც არის, უნდა იყვეს კიდეც. დღეს არც ჩვენ ვთვლით ქართველებად ეევახოვს, პანჩულიძევს, ჩოლოკაევს და სხვებს ამათ მგზავსთა, ვინაიდან ამათ, უცხოთა შორის გაბნეულთა, ბუნებრივი პროცესის ძალით უცხო ეროვნება მიიღეს. მაგრამ, რომ რაიმე ტლანქმა ძალმ, მაგალითად, ახლანდელმა ომმა, როგორც ეს ძველადაც ხდებოდა, მთელს ჯგუფებს ქართველებისას სხვა სარწმუნოება მიაღებინოს და შემდეგ სხვა ეროვნებაც თავს მოახვიოს, ამ შემთხვევაში ჩვენ ქედს ვერ მოვიხრით სინამდვილეს წინაშე, უმოქმედობას ვერ ვიქადაგებთ. ასეთს ასიმილაციას ჩვენ ისეთ რეალობად ვერ ვაღიარებთ, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ. პირიქით, შევებრძოლებით, რაც ძალი და ღონე გვაქვს. აი ამაში გახლავსთ ჩვენისა და სოციალ-დემოკრატიულ შეხედულების შორის რეალურ პირობებზე განსხვავება.

პირადად მე, ამ სტრიქონების დამწერი, ყველა ზემოაღნიშნულ თეორია—შეხედულებაზე მაღლა ვაყენებ, მეტს მნიშვნელობას ვაძლევ იმას, თუ რასჭვიძრობს ყოველ შემთხვევაში თითოეული ინდივიდუმი თუ ჯგუფი თავის ეროვნებაზე, რომელ ეროვნულ პოზიციას აკუთვნებს იგი თავის თავს თავის სიტყვის, გუნების, თავისუფლება-სურვილის მიხედვით, სრულიად ძალ-დაუტანებლად, გარეშე ამა თუ იმ მოსაზრებისა, გარეშე ამა თუ იმ შემთხვევით გარემოებათა, როგორიც არის ნათვლა, ქორწინება და სხ. არას ვამბობთ იმაზე, იმ ცხადის უცხადეს ჭეშმარიტებაზე, რომ მე რომელიმე პიროვნების ეროვნებას უნდა ვსაზღვრავდე მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა—მუშაობით, მისი მუშაობის შედეგებით.

**თავისუფალი თვითგამორკვევა,**—აი ის სახელმძღვანელო საზომი, რომლითაც უპირველესად ყოვლისა უნდა ვსაზღვრავდეთ ეროვნებას- რა თქმა უნდა თვითგამორკვევა შეგნების ერთნაირ დონეს, ერთნაირ მასიურ განვითარებას ჰგულისხმობს. თუ ასეთი შეგნება-განვითარება არ არის, შეიძლება თვითგამორკვევით ჩვენ ვერას მივაღწიოთ. შეიძლება თვითგამორკვევამ ისეთი რამ გვამცნოს, რაც ამა თუ იმ პიროვნების და მთელი კოლექტივის არც თავისუფლებასა და არც მის გუნება სურვილს არ შეეფერებოდეს. თვითგამორკვევა სავსებით თავისუფალი ვერ იქნება, როდესაც თვითგამრკვევი პიროვნება თვითცნობიერებას მოკლებულია, გონების მხრივ წყვდიადით მოსილია. მონები ერთს დროს თავის მდგომარეობას ისე ეგუებოდნენ, რომ თუ ამ მდგომარეობის შეცვლა შეიძლებოდა არც კი წარმოედგინათ. თვითგამორკვევა შეუგნებელ საზოგადოებაში ამ საკითხის გარდაწყვეტის დროს, ისე, როგორც პოლიტიკური ბედის გარდაწყვეტის დროს, სახიფათო ორპირიანი მახვილია: შეიძლება მან სიმართლე-სინამდვილეც გვითხრას და შეიძლება სიმრუდეც გვიჩვენოს ამ გვარ შემთხვევებში თვითგამორკვევას ვერ დავემყარებით. აქ ობიექტურ პირობებს უნდა მივმართოთ და ამათი საშვალებით გავარკვიოთ ეროვნული ფიზიონომია. აი სწორედ აქ ღებულობს გარდამწყვეტ მნიშვნელობას ყოველივე ის, რაზედაც ზემოდ გვქონდა საუბარი და რასაც ჩვენ დამხმარე, ასე ვსთქვათ, სუბსიდიალურ როლს ვაკუთვნებთ—გვარტომობა, რეალური პირობები, უმრავლესობა-უმცირესობა და სხვა.

თუ ამ თვითგამორკვევის საზომით მობრძანდებისან პირადათ ჩემთან ჩვენი მოკამათენი სომეხთაგან, გულ-ახდილად და გადაჭრით ერთხელ და სამუდამოდ მოვახსენებ მათ შემდეგს ჩემს ეროვნულ-სარწმუნოებრივ ვინაობას: **მე ამ სტრიქონების დამწერი ტომით, ეროვნებით ქართველი გახლავარ, ხოლო სარწმუნოებით გრიგოლ პართელის ტიბიკონის აღმსარებელი ანუ, უფრო სწორი იქნება რომ ვსთქვათ, გრიგორიანთა ეკლესიაზე მიწერილი იმ დროს როდესაც მე არაფერი მეკითხებოდა.** ამასვე მოგახსენებთ, უეჭველია, საქართველოში მცხოვრები არა ერთი შეგნებული გრიგორიან ქართველთაგანი

ასე და ამგვარად, რა მხრითაც არ შემოუარით ქართველ გრიგორიანთა საკითხს, რომ თეორიითაც არ ინებონ ხელმძღვანელობა ჩვენმა მოკამათეებმა, საქართველოში მცხოვრებ გრიგორიანთა ერთი ნაწილის ქართველობა ჩვენთვის აქამდე უცილობელი, აშკარა ფაქტია.

გრ. ბემდუხანი.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „სამშობლო № 512.

*  
* *

(აკაკის დაუბეჭდავი ლექსი*).

ხანდახან ცეცხლი გაჰქრება  
და გაცივდება კერაცა,  
გგონია სახლი იღუპვის  
და იმის ბედის წერაცა,  
მაგრამ, რომ გაჰქექ ცივ ნაცარს  
და გამოუქექ მას ძირსა,  
იქ ნახავ ობოლ ნაკვერჩხალს,  
მიმამლულ—მივიწყებულსა.  
და იმ ნაკვერჩხლით აანთებ,  
ააგუგუნებ კერასა,  
სახლიც გათბება და ბნელი  
ნათელს ვერ აკლებს ვერასა.  
ასეა ეროვნებაცა  
ხანდახან შებღალულია,  
მაგრამ სიცოცხლის ნიშანი  
სადღაცა მიმალულია.  
მოძებნა უნდა იმ ნიშანს,  
და ქვა კუთხედათ დადება,  
ის აკვანია წარსულის,  
მყობადიც დაიბადება.

აკაკი.

*) ეს ლექსი წარმოგვიდგინა ვიტანგ აბაშიძემ. მას გადმოუწერია აკაკის ხელნაწერიდან დ. სახერეზში.

# ახალი ამბავი.

✦ ქართული გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ, დღეს, 21 დეკემბერს, ქუთაისის საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართება ტრადიციული, ლიტერატურულ-მუსიკალური სადამო.

✦ ქალ-ვაჟთა მოსამზადებელი სკოლის და ,საბავშო ბაღის'' გამგე ან. ქავთარაძისა, 27, 28 და 29 დეკემბერს მართავს მოწაფეების ნაწარმოებთა გამოფენას, მსურველთ შეუძლიათ დათვალიერება შუადღის 12 საათიდან-2 საათამდე.

✦ ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომის დავალებით ინსტრუქტორმა იონა მაჭავარიანმა გუშინ გაუგზავნა ომში გაწვეულ პირთა ოჯახებისათვის უფასოთ დასარიგებლად შაბიაბანი და გოგირდი ოზურგეთის მაზრის აგრონომს—24 ფუთი, ზუგდიდის და სენაკის 40 ფ. შორაპნის—68 ფ. შაბიაბანი უნდა გაანაწილოს ხალხის მიერ ამორჩეულმა კომისიამ საერობო აგრონომთა თანდასწრებით.

✦ ორშაბათს, 19 დეკემბერს ქალაქის საბჭოს სხდომა ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

✦ გუშინ ქალაქის გამგეობამ დაიწყო ომში გაწვეულ სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახებისათვის დახმარების დარიგება. დასარიგებელი არი 17000 მანეთი.

✦ ქუთაისის საურთიერთო ნდობის ცეტლისაგან დამზღვევ საზოგადოებას კრება, რომელიც დანიშნული იყო 18 დეკემბრისათვინ და წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა, გადაიდო 27 დეკემბრისათვის.

✦ ქუთაისის გუბერნატორს ატყობინებს ქუთ. მაზრის მმართველი, რომ დაბა სამტრედიაში დაუპატიმრებიათ ცნობილი ყაჩაღი ნოე თელია, რომელსაც ბრალათ ედება მრავალი პირის გაძარცვა.

✦ მეფის ნაცვლის საბჭოს დადგენილებით ამ ახლო მომავალში ქუთაისში გაიხსნება სამიწათ-მზომელო სასწავლებელი.

✦ სახალხო მასწავლებელთა კავშირი ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ქალაქის თეატრში 21 იანვარს გამართავს სალამოს

✦ ხვალ ქუთაისის საოლქო სასამართლოს შერთებული სხდომა გაარჩევს იმ ვექილთა საქმეს რომელნი ცაჰარლებთან უკანასკნელ პროცესში იღებდენ მონაწილეობას, პასუხის გებაში მიცემულია 12 ვექილი,

✦ სოხუმში, სომეხთა ცენტრალურ კომიტეტმა გახსნა თავშესაფარი გადმოხვეწილთა შვილებისათვის.

✦. მეფის მოადგილის საბჭოს დაღესტნის ოცი სკოლის დასამთავრებლად 34678 მანეთი გადაუდვია.

✦ ქუთაისის გუბერნატორის დადგენილებით ერთი თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯეს თევზით მოვაჭრე რაჟდენ ცახალაშვილს, დამპალი თევზით ვაჭრობისათვის. მისივე დადგენილებით ასი მანეთით დაჯარიმეს ვაჭარი მაღლაფერიძე, უვარგისი ბრინჯის გაყიდვისათვის

✦ ს. სამტრედიიდან გვატყობინებენ, რომ უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელთან გაიხსნა საფოსტო სატელეგრაფო კურსები, კურსებზე მიიღებენ იმ პირებს, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღ. პირ. დაწყებითი სასწავლებელი. კურსები გაგრძელდება სამ თვეს. სწავლის ფასი არის 30 მანეთი.

✦ ქიმიური ლაბორატორიის გამგემ ანალიზის გაკეთების შემდეგ ყალბი სანოვაგე აღმოუჩინა შემდეგ ვაჭრებს: ელიზბარ კვანტალიანს (კონსერვები), ვასილ კუპრაშვილს (თაფლი), ლ. კიკვიძეს (ერბო), ხ. ოსიპოვს (ძეხვები), ბ. ჩირაძე (რძე), ბ. ისტომინს (ძეხვები) პური: მამედ-აჯი-ოღლის ივანე ადამიას, ჰ. ჩოროდვიანცს' ოგანეს ოსიპოვს, ბლ. ჯალაღანიას, ბ. იმედაძეს,

**შეცდომის გასწორება.**

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ახალ ამბავში მოხსენებული იყო ჩრდილოეთ კავკასიაში გარდაცვლილმა მაკობა იოსების ძე გიორგობიანმა ქუთაისის ქართულ სათავად აზნაურო გიმნაზიას 100000 მანეთი შესწირაო. უნდა აყოს 10000 მან.

# კავკასიის ქრონიკა

**ოზურგეთი** თითქმის ერთი წელიწადია რაც აქ დაარსდა სამეურნეო საზოგადოება. ამ სიმპატიურ საზოგადოებას დაარსებას დიდის აღფრთოვანებით შეეგება გურიის საზოგადოება. დაარსების დღეს გაისმოდა მისალოცი ხმა, რომ ასეთი ფრიად მნიშვნელოვანი საზოგადოების დაარსებაში ხსნას პოებს გურული გლეხი რომელსაც შეძლების დაგვარად მიუყვია ხელი მეურნეობისთვის და ვერ მოუპოვებია ბაზარი თავის ნამუშავრის გასასაღებლად. სრული იმედებით იყო აღჭურვილი გლეხი, მაგრამ მათი იმედები დღეს როგორც ჩანს, ფრთა შეკვეცილია. სამეურნეო საზოგადოების გამგეობაში აბსოლუტური უმოქმედობაა. გვეტყვიან წვრილ დამაბრკოლებელი მიზეზებიაო, უმთავრესად კი ომი. მეტი ენერგია და უნარია საჭირო საქმისადმი

— **ბათუმი** ქარხნებში მომუშავე მუშები აკორდს ისე შეჩვევიან, რომ უაკორდღეის გაივლის რომ აქაურ მუშათა და ქარხნის ადმინისტრაციას შორის ჩხუბი და არეულობა არ მოხდეს. ქარხნის გამგეს აქ შემოღებული აქვს, რომ მუშებში სიყწნარე იყოს, ასეთი კანონის [illegible] აკორდის დროს ყოველი [illegible] ხდება. ამიტომ ადმინისტრაცია მუშებს აჯარიმებს 50 კაპ. 3 მანეთამდე. აკორდ მომუშავე დღეში იღებს ქირის 5 მანეთიდან 28 მანეთამდე. არიან დღიურიც 1 გ-20 კ. 4 მანეთამდე. შაბათობით ღებულობენ აკორდის მომუშავენი 100 120 მანეთს და დღიურები 30-60 მანეთს, ეს იწვევს უსიამოვნებას. უკეთესი იქნება ჩაუკვირდებოდეთ დღევანდელ ცხოვრებას და ხელი შეუწყოთ იმ მუშებს, რომლებიც დღეს მცირე ხელფასში მუშაობენ.

**ბაქო** აქაური განყოფილების ქ. შ. წ. კ. გ. ს. დრა მატიულ სექციის მიერ ოპერის მსახიობის ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით გამართული იქმნა ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების ასი წლის თავის ალსანიშნავად ქართული მუსიკალური საღამო. ვლ. ახობაძემ წაიკითხა დახასიათება და ბიოგრაფია მგოსნისა. შემდეგ შალვა დადიანმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ იქმნა ნაჩვენები მგოსნის სურათი, რომელიც საზოგადოებას ძრიელ მოეწონა. შემდეგ ბ ნმა სარაჯიშვილმა იმღერა.

# მიწის ნაკლებობა.

**ქუთაისის გუბერნიაში.**

იმერეთში დიდად შევიწროვებული არის ხალხი მიწის უქონლობისა გამო, ეს ცხადია და დამტკიცება აღარ სჭირია.

თუ სადამდე ამხეცებს მიწის სივიწროვე ადამიანს, ეს აშკარად დაგვანახვა იმ საოცარმა შურის ძიებამ, რის მსხვერპლიც შეიქნა ყოვლად პატივცემული და წყნარი მუშაკი, განსვენებული მ. მელიტონ ცაგარეიშვილი.

ამისთანა სივიწროვეს განიცდის იმერეთი და მთელი კახეთ ქიზიყის მიწებს კი მფლობელობს სომხობა.

მიწა კახეთში ძლიერ ბევრია და შედარებით იაფიც არის მამული, მასთან მიწაც ნოყიერია, ასე რომ სავსებით აჯილდოვებს მშრომელის მარჯვენას.

მთელი ალაზნის ველი დასახლებული არის შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულებით. რამდენიმე სოფელი: ვორონცოვკა მიხაილოვკა, დაშკოვკა, ილლარიონოვკა სულ მათი სამფლობელოა.

ამ მოკლე ხანში იქ იმერლებიც დასახლდნენ, ძლიერ კარგად შეეთვისნენ ახალი საცხოვრებელ ბინას და თავისუფლადაც ამოისუნთქეს, ვინაიდგან საკმარისი მიწა აქვთ (უმეტესად სვირიდან და ზესტაფონიდან არიან), მოჰყავთ ბლომად სიმინდი, კარტოფილი, ოქრო ვაშლა (პამიდორი), შავი ბადრიჯანი, ხახვი და სხვა;

როგორც გავიგეთ თბილისის სათავად აზნაურო ბანკი იძლევა მიწებს ხელსაყრელ პირობებში თან თანხასაც იძლევა პირველი მოსაწყობად;

მე მგონი საჭიროა ამ ფაქტს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება; საჭიროა თვით ქართულ გაზეთების ხელმძღვანელებმა მიაკითხონ ბანკს, თუ რა პირობით და რა ადგილებში იძლევა მიწა, შემდეგ ამისა დაიგზავნოს სოფლებში რამოდენიმე სანდო პირი და აცნობონ ხალხს ეს პირობები, მე მგონი ბევრი გამოჩნდება მსურველი კახეთში გადასახლებისა. რასაკვირველია მას თან დაჰყვება ახსნა, რომ დაარწმუნოს ხალხი ამ გვარი ოპერაციის სარგებლობაში. თორემ კახეთი გამოეცლება ხელიდან და ვერც დავაკავებთ ჩვენ მას, რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ ტერიტორიის შენარჩუნება თუ სინამდვილეთ არ ვაქციეთ ჩვენი სიტყვები. ახლა ხომ ბევრია ფული, ვაქციოთ ფული მიწათ, და იყოს ადგილი დაჭერილი, ვისაც ახლავე არ შეუძლიან გადასვლა, ან სულ არ შეუძლიან; მიწა ხომ შემდეგში უფრო მოიმატებს ფასში, და ამითი ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ჩვენი მიწა ჩვენვე დაგვრჩება.

კახელი ქალი.

# პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. ძირითი.** (გურია) ამ დღეებში ძირითის საზოგადოებამ ერილობაზე დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ დაადგინა, მოშავალ 1917 წლის სექტემბრიდან გახსნან უმაღლესი პირველ-დაწყებითი სკოლა. ამის შესახებ სადაც ჯერ არს შესაფერი შუამდგომლობა უნდა აღიძრას და ხარჯიც თვით საზოგადოებამ უნდა იკისროს მანამ, სანამ ამას ხაზინა არ მიიღებს თავის თავზე. ეს საზოგადოება სულ 520 კომლისაგან შედგება და ამ საერთო გაჭირვების დროს, როცა ოჯახის მარჩენლები ბრძოლის ველზეა, ხარჯის გაღება სოფლისთვის მძიმეა.

**სოფ. ბაზური.** (გურია) აქ არსებობს ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც მოთავსებულია ერთ პატარა ფიცხელ შენობაში და გაშენებულია ძრიელ დავარდნილ ადგილზე. შენობა საგრძნობლად პატარაა და დაბ გრევის გზას ადგას. ქარი ამ შენობაში თავს სუფლად დაქრიალებს და ბავშვები სწორედ [illegible]

მოხტება, ხელს აუკრავს და ირაკლის დაჭერისაც აპირებს. (დიდი ჩოჩქოლია და შეჭიდებაა. ირაკლი მოახერხებს, დერეფანში გავარდება და თვალს მიეფარება.)

**როტმისტრი.** ესროლეთ! მოჰკალით! ცოცხალი არ გაუშვათ! (ჟანდარმებიც გარედ გაცვივიან. დიდი სროლა და ხმაურობაა, როტმისტრი აღელვებული დარბის )

**ბანო.** (მივა ბერგთან, დიდხანს დააცქერდება და გიჟივით გადიხარხარებს) მაშ, მომატყუე?... მაშ, დასწიხლე ჩემი წმინდა გრძნობა, ხალხის წმინდა საქმე?.. (გიჟივით ხარხარებს) ანგელოზის გარეგნობაში, ხშირად თურმე გველის სულიცა ყოფილა! (ბერგი იხლაკნება, ბალიშზე თავს აწყვეტს) რას გაჩუმებულხარ, მოღალატევ?! მე ქართველი ქალი ვარ და დიდ სიყვარულთან დიდი მძულვარებაც შემიძლია. (საყელოს ჩამოიგლეჯს) მშვიდობით, თავ-დავიწყებავ, მშვიდობით ტკბილო იმედებო! (მივარდება ბერგს, გადახდის საბანს, საჩქაროდ შეხსნის ჭრილობაზე შემოხვეულ ტილოს და ძირს გადმოაგდებს. ბერგს ჭრილობიდან სისხლი წასკდება. განო გულზე ხელს მოიჭერს და დემონიურად დაჰხარხარებს, სახე შეშლილი, გაოგნებულ-გაბოროტებული.)

**როტმისტრი.** (მიირბენს ბერგთან) რა ჰქენი, შე შეჩვენებულო!

**ბანო.** ახლა შენ მოუარე შენს მეგობარს. მსგავსი მსგავსს ეძებს! (გულიანად მიაფურთხებს ლეონს და ისტერიულის კივილით დაიწყებს თმისა და გულმკერდის ხოკვას.)

**ჟანდარმები.** (შემოცვივიან) მოჰკლეს, თქვენო აღმატებულებავ! თუმცა იმანაც ვახმისტრი მოგვიკლა.

**ბანო.** (დაიწივლებს) მოჰკლეს! ირაკლი მოჰკლეს? (ტირის)

**როტმისტრი.** ბარაქალა ჩემს შავარდნებს (განოს დაცინვით.) დიაღ, მოუკლავთ, მოწყალეო ხელმწიფევ!...

**ბანო.** [illegible]

**როტმისტრი.** ხასავ, ჩემის ჯაშუშისავ, შენ კი დიდი ვაშკაცობა ჩაიდინე? (ბერგზე მიუთითებს)

**ბანო.** (მწარედ ამოიგმინებს თვალებზე ხელს აიფარებს, კანკალებს.)

(შემორბის სხვა ჟანდარმი) გაუბედავად) თქვენო აღმატებულებავ, (დეპეშას გადასცემს.)

**როტმისტრი.** (გახსნის... ელდა ეცემა, დაიღრიალებს) როტმისტრი ხრაპი მოუკლავთ! ციხე გაუტეხიათ და გაქცეულან თევდორე .. ლადოც... ქალებიც! (სიმწუხარისაგან სავარძელში ჩაიკეცავს)

**ბანო** (გონს მოკა, გახარებული) უბედური მეც ვკმარვარ. (დაიჩოქებს, ცას თვალებს მიაპყრობს) ღმერთო შენ უშველე ყველა დაჩაგრულებს!

**როტმისტრი.** (გაცოფებული) გაათრიეთ ეს დედაკაცი! ყველას ჯავრს ამაზე ვიყრი, გაუფთხილდით, ესეც არ გაგექცეთ, თორემ მოგკლავთ, დაგარჩობთ, დაგხვრეტავთ! (კვლავ ბერგთან მიდის, მის აყენებას სცდილობს)

**ბანო.** (რომელსაც ჟანდარმები შემოეხვევიან) სხეულის მეუფე არ არის სულის მეუფეც!...

**ბერგი.** (წამოიკივლებს) ვკვდები... მიშველეთ!

**როტმისტრი.** ექიმი... ექიმი! ჩქარა! (ექიმი შემოდის, უკან მოსდევს დაა მოწყალებისა, ყველანი ბერგს უვლიან, ჟანდარმებიც გაბუცდებიან.)

**ბანო.** (ისარგებლებს შემთხვევით, შესდგება ფანჯარაზე და დაიყვირებს) მკვდარ გულს ველარ ატარებს ცოცხალი სხეული. გაუმარჯოს გამოთხიზლებას, გაუმარჯოს [illegible]... გაუმარჯოს ხალხს! ირაკლი!... (ფანჯარიდან გადავარდება,)

**დაა მოწყალებ.** (ფანჯარასკენ გაქანდება, გადახედავს) ვაიმე! დაიღუპა! დაიღუპა, უბედურის შვილი!

**ექიმი.** (რომელიც დახრილი იყო და ბერგს გულს უსინჯავდა, წამოდგება) გათავდა!

**როტმისტრი.** (შუბლზე ხელს შემოიკრავს. გარედან მოისმის გუგუნი და შემოაქვთ განოსა და ირაკლის დასახიჩრებული გვამები. ჟანდარმები გაბუცებულნი დგანან და სამხედრო სალამს აძლევენ.

**როტმისტრი.** (დააცქერდება მიცვალებულთა გაფითრებულ სახეს) მოკვდნენ, წავიდნენ... მაგრამ განა მოკვდება როდისმე ასეთი ხალხის ურჩი გულის-თქმა? (ღრმად ჩაფიქრდება.)

**ცოცხალი სურათი.** წინ, იატაკზე, აწყვია განოსა და ირაკლის გვამები. მეორე ოთახში გდია ლეონ ბერგი. როტმისტრი სავარძელში ზის, ღრმად დაფიქრებული. ჟანდარმები უკან კარებთან გამოჭიმულან დაა მოწყალებისა დახრილა განოს გვამთან და მწარედ ქვითინებს. ექიმი გაშტერებულა.

გარედან ყრუდ მოისმის ნაღვლიანი სიმღერა ირაკლისა და განოს სიკვდილით შეწუხებულ მოქალაქეთა:

ფარდა  
ნელ-ნელა ეშვება*)

**ია ეკალაძე.**

*) ავტორი უმორჩილესად სთხოვს რეჟისორებს თუ კი ოდესმე ეს პიესა სცენაზე დადგმის ღირსი გახდება, ასე შეასწორონ ბოლო გამოსვლა ამ შემ[illegible]

დი სკოლა, ვერავითარ ოჯახსაწინთ ნაყოფს ვერ იღებს. ყოველ წლივ ზამთრის სიცივეს ბავშვები ვერ იტანენ ასეთ შენობაში და სწავლას თავს ანებებენ.

**სოფ. ზემოგოში.** სადგურ გომის მახლობლად ერთი პატარა სოფელია, სახელდობრ ხავლეთი, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 17 კომლია და ჭირნახულის მოსავალითაც მეტად ჩამორჩენილია. ამ სოფლის მამული ეკუთვნის ბარონესა სოფიო ფონ კლეისტს და გლეხებიც სახაზინო უ დებებით უთვილან აქ დასახლებულნი. წელს, რადგან მშრომელი ხალხი ბრძოლის ველზე იქმნა გაწვეული, შინ დარჩენილმა ვეღარ შესძლეს მამულების რიგიანად დამუშავება. წლიწადი ცუდი შეხვდათ და ამ მიზეზით ხავლეთელებს მეტად ცუდი მოსავალი მოუვიდათ. ხიზნებმა ვეღარ შესძლეს დაწესებული დალის გადახდა ფონ-კლეისტის სასარგებლოდ და სთხოვეს მებატონეს ან დალის პატიება, ან მეორე მოსავლამდი დაცდა. მებატონე ამგვარმა ქცევამ გლეხებისა მოთმინებიდან გამოიყვანეს და დალების ასაკრეფათ მან თავისი სიძე ბ. შირმანოვი გაგზავნა. მან ბოქაულს მიმართა. უკანასკნელმა სოფელში დარაჯები აჰყრინა, დარაჯებს დალის გასანაღდებლად ჯერ საქონელი გამოურეკიათ, მაგრამ მათ ხალხი შემოხვევიათ და საქონელი დაუბრუნებიათ. სამაგიეროდ მათ მთელი სოფელი გამოურეკიათ და სადგურ გომში ჩამოუყვანიათ. შირიმანოვთან. ეს უკანასკნელი მოხუცი და შიშველ-ტიტველა ქალებს მუქარით შეხვდრია. ერთი გლეხისთვის სილაც გაურტყამს. ერთი სიტყვით გაბრაზებულ ბატონს ისე შეუშინებია გლეხები, რომ ისინი დაფაცურებულან, მამასისხლად ფული უსესხიათ და ბატონის ვალი გადაუხდიათ. ბატონი მაინც შემდეგ მუქარით ეუბნებოდა წელში მოხრილ გლეხებს: „თქვენი სული ჩემ ხელშია; მე სრული ნება მაქვს გაგროზგოთ, დაგიჭიროთ, ავვაროთ და სხვა".

დამარცხებულნი, დამცირებულნი ხავლეთელები მწარე ოხვრით სოფელში დაბრუნებულან.

აი ცოცხალი ნიმუში ბატონ ყმობის ნაშთებისა ქართლში! განა შეიძლება ვინმემ თქვას ქართლში ბატონ-ყმობა დიდიხანია გადავარდნილიაო.

## რუსეთი.

14 დეკემბრისთვის მოწვეული იყო სამხედრო სამრეწველო კომიტეტების წარმომადგენელთა კრება. მოულოდნელად კრებაზე გამოცხადდა ქალაქის უფროსის მოხელე ბოქაულითურთ და პირველ რიგში დისხდნენ. თავმჯდომარე კონოვალოვმა წაიკითხა კრების მიერ ერთხმად შემუშავებული პროტესტი და თვით კრება დახურულად გამოაცხადა.

— პეტროგრადის ქალაქის სასურსათო კომისიის დადგენილებით მთელ ქალაქში აკრძალული იქნება ფაფუკი პურებისა და სხვადასხვა საკანდიტერო ნაცხობთა დამზადება და გაყიდვა. განზრახულია ეს ზომა ნაშობევს განახორციელონ. დამნაშავე 3000 მანეთით იქნება დაჯარიმებული, ან 3 თვის ციხით. ამ პროექტის განხორციელებას ექვის თვალით უყურებენ.

— კიევის უნივერსიტეტში ამ ჟამად ლექციებს კითხულობს ქალი პროფესსორი ქალ-ნი პოლონსკაია, რომელმაც ისტორიის მაგისტრის სახელწოდება დაიმსახურა.

— მოსკოვში ხმა გავრცელდა, მანასევიჩ-მანუილოვის საქმე მოსპობილი იქნება. როგორც ვუწყით მანასევ მანუილოვმა რამდენიმე მზართველ პიროვნების უზნეობა გამოამჟღავნა.

— მოსკოვის გაზეთებს სარწმუნო წყაროებიდან ატყობინებენ, რომ პროტოპოპოვი ნაშობევს სახ. საბჭოს წევრად იქნება დანიშნული.

— მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა მიწათმოქმედების სამინისტროს პროექტი სატყეო დაწესებულებაში ქალების მოხელეებათ მიღების შესახებ, თუ რასაკვირველია მათ სათანადო სპეციალური სწავლა ექნებათ მიღებული.

— გზათა მინისტრის სამხედრო მინისტრთან შეთანხმებით დაუდგენია რკინის გზებზე მოსამსახურე მემანქანეები, მათი თანაშემწენი და სლესრები ომის გათავებამდე ჯარში არ გაიწვიონ.

— ბესარაბიაში და მალოროსიაში კვლავ მოდიან რუმინელი ლტოლვილები. მათი მდგომარეობა მეტისმეტად გაჭირვებულია.

— სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის ამბავი დეპუტატებს გაზეთებიდან გაუგიათ.

— 15 დეკემბერს პეტროგრადის მე 2 სავაჟო გიმნაზიის შენობაში გაიხსნა სახალხო სკოლების დირექტორთა ყრილობა, რომელმაც საყოველთაო სწავლის შემოღებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადასწყვიტოს.

— ათიოდე წვრილი კანონპროექტი, რომელიც პროტოპოპოვმა ამას წინად სათათბიროში შეიტანა, ეხლა უკან წაუღია. გაზეთების აზრით შინაგან საქმეთა მინისტრი დარწმუნებული იყო, რომ არც ერთი იმ კანონპროექტთაგანი არ იქნებოდა მიღებული სათათბიროს მიერაო.

— კიევის კოოპერატივებს გამოწერილ შაქრის მაგივრად მიუღიათ იმავე ყალიბის ხის კუნძები. შაქრის თავისავით ლურჯ ქაღალდში გამოხვეული.

## უცხოეთი.

გალიციის ავტონომიის პროექტის განხორციელება კიდევ გადაიდო, რადგანაც ჩეხელები და დასავლეთის სხვა სლავები წინ აღდგომიან გალიციის ავტონომიას. ეს საკითხი კვლავ იქნება განხილული.

— შეერთებულ შტატების სახელმწიფო მდივანის ლანსინგის განცხადებას, რომ მოსალოდნელია ამერიკის ომში ჩარევა, დიდი მღელვარება გამოუწვევია შტატებში. ნიუიორკის ბირჟაზე მრავალ ფასიან ქაღალდების ღირებულება ერთიან დაეცა და მრავალი ბანკი რამდენიმე საათის განმაცლობაში ერთიანად გაკოტრდა.

— ინგლისის პრემიერ მინისტრს ლლოიდ ჯორჯს ლონდონში მოუწვევია ახალშენების ყველა მინისტრები. ამათ მონაწილეობით თებერვალში მოხდება ინგლისის სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელსაც ფრიად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა ექნება დაკისრებული.

— იტალიის მთავრობას იაპონიისათვის განუცხადებია, რომ მას სურს სხვა პირობებით განაახლოს იტალია იაპონიის სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც მათ შორის იყო დადებული და რომელსაც 1917 წელში გასდის ვადა.

— გერმანეთსა და ბულგარეთის შორის ახალი სავაჭრო ხელშეკრულება დადებულა, რომლის ძალითაც ბოლგარეთს ევალება გერმანეთს მიაწოდოს ყველა ის საჭირო საქონელი, რომელიც მას სამოდ ექნება და რომელიც გერმანეთს ეჭირვება.

— ავსტრიაში იმპერატორის ყარლოსის ტახტზე ასვლის დღეს ფართე პოლიტიკურ ამნისტიას მოელიან. ხმებია ჩეხელებს და ხორვატებს ავტონომიას მისცემენო.

— პოლონეთში რუსულ ქაღალდის ფულის მაგივრად, რომელიც აქამდე იყო ხმარებაში, გერმანული ქაღალდის ფულები შემოუღიათ.

— „რუს. ვედ." კოპენჰაგენიდან ატყობინებენ, რომ პალესტინის და განსაკუთრებით იერუსალიმის მცხოვრებთა გაჭირვება კალმით აუწერელიაო. კორესპონდენტის სიტყვით, რაკი ფქვილის უქონლობის გამო მთელი ხალხი ქ. იერუსალიმს მოაწყდა, თვით ქალაქში შიმშილი და ეპიდემიაა გავრცელებული.

— იტალიის ეროვნულ პარტიის საბჭომ მთავრობას წარუდგინა თავის დადგენილება, რომლითაც იგი მოითხოვს შემოღებულ იქნას საყოველთაო შრომის ბეგარა.

— ავსტრიის მინისტრთა კაბინეტში სამი ჩეხელი შედის: კლამ მარტინაცი, ტრუნკა და გრ. ჩერნინი. საერთოდ ავსტრიის საიმპერიო მთავრობა იმის ცდაშია, რომ იმპერიის საერთო საქმეებში ყველა ეროვნებანი დააინტერესოს და ამით ერთსულოვნობა დაამყაროს.

— გერმანეთის კანცლერს ჩთელი იმპერიის მთავრობათა მინისტრები მოუწვევია საგანგებო თათბირზე, რომლის მუშაობასაც დიდ მნიშვნელობას აწერს გერმანული პრესა.

## ანგარიში.

ბ-ნო რედაქტორო.

ქ. ქალთა საზ. გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ 21 ნოემბრის „სადამოს" ანგარიშს, რომელიც გაიმართა საზოგადო საკრებულოს დარბაზში.

მთელი შემოსავალი იყო:—1327 მ. 32 კ.

დაიხარჯა:—675 მან. 75 კაპ.

დარჩა წმინდა:—615 მან. 5 კ.

ამასთანავე გთხოვთ გულითადი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ რომელთაც კეთილ ინებეს და თვისი წვლილის შემოწირვით დახმარება აღმოუჩინეს საზოგადოებას.

1) კნ. ნიცა წერეთლისამ—3 მ., 2) კნ. ვერა გ. მიქელაძისა—1 მ. 50 კ., 3) ქ. ლ სტეფანოვისა—3 მ., 4) ქ. ბალანჩივაძისა—3 მ., 5) ბ. ლასხიშვილი—10 მ., 6) ბ. ე. ბებეშკორი—10 მ., 7) ბ. ა. ი. ჯაფარიძე—5 მ., 8) ბ. შ. კოკოჩაშვილი—3 მ. 9) ბ. ნაზაროვი—50 კ., 10) ბ. ჯ. ჯორჯიკია—3 მან.

აგრეთვე მადლობას უცხადებთ დახმარებისთვის.

ქ. ქ. ეფ. მესხს, ი. მიქელაძისას, მ. გველესიანს, მ. ვარდოსანიძის ასულს, ქ. ქეთ. წერეთლისას, ს. ბაქრაძისას, ელ. ხელთუფლიშვილის ასულს, ნ. ფანცხავას, სალომე აბდუშელიშვილის ასულს. ბ. ი, კემულარიას.

ქ. გუგუშვილის, ნაგარეველს, ბ.ბ. ნემოს, მ. შარაშიძეს, თ დ აკაკი ფადავას, გრ. დადიძეს, დ, ჩარკვიანს, ი. ხერეთელს ვ ტუმშელაშვილს და ყველა იმ პირთ ვინც ხელი შეუწყო „სადამოს" მოწყობას.

აქვე ვურდგენთ საას იმ პირთა, რომლებმაც შემოგვწირეს ნივთები სუირნიობისთვის, რომელიც უნდა გამართულიყო მაისში, მაგრამ ჩვენდა დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო სუირნობა გადაიდვა სხვა დროისთვის. ნივთები კი აღნიშნულ სადამოს მოწყობას მოხმარდა.

შემოწირეს ნივთები: ბ. გვიჩია, ეზიკოვი, უდალოვი, რუხაძე, სტ. ფეიქაროვი, ტერჭქ, განელინი, უკრაინცევი, რიჟინაშვილი, ალიბეგოვი, მამაჯანოვი, შავერზოვი, ფილიპოვი, ასათიანი, ჩხეიძე, მელაშვილი, ბახტაძე, ვასაძე—1 მან თაბაგარი, კაჭკაჭოვი, მარანოვი, ბეჟანიშვილი, გასპაროვი, ფარალოვი, თურქია, პრავოდნიკი, დათეშიძე, კილასონია, ბეგოვი, კუპრაშვილი, კიკვაძე, ბექაია, არჯავანიძე, არჯანიძე, ძმ. დლონტები, გორდაძე, გვეტაძე, კუპრაძე, გაბუნია, ბალანჩივაძე, ელიგულაშვილი, ბუნაშვილი, კილასონია, ასათიანი, ვოლოხი, მამოვარია, წიქორიძე, მთავრიშვილი.

ფულად შემოწირეს: 1) ბუტულაშვილი—3 მან., 2) ბერეჩიკიძე—50 კ., 3) დ. მეძმარიაშვილი—1 მ., 4) ამაღლობელი—1 მ., 5) №—1 მ., 6) კაპანაძე—1 მ, 7) კუზანოვი—1 მ., 8) ჩაკვეტაძე—3 მ. 9) ლორია 1 მ., 10) ყვანია—1 მ., 11) №—1 მ., 12) №—50 კ., 13) X—1 მ., 14) ჯანელიძე—3 მ., 15) ზინგერი—1 მ.

ქ. ქალთა საზ. გამგეობა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში დამიბეჭდოთ პ. ლორიას საპასუხოდ შემდეგი:

ქალბატონო პელაგია! იმ სახით სამედიატორო სასამართლოში გაყოლა როგორც ეს თქვენ გსურთ, შეუძლებელია და გაძლევთ შემდეგ წინადადებას: რადგანაც მე თქვენ არავითარ ბრალს არ გდებთ და ფიქრადაც არ მაქვს თქვენი საქმეები თქვენვე გიმტკიცოთ, ამიტომ საპრადლებელო კითხვების შემუშავება და სასჯელის გამოტანა მედიატორებს მივაწოდოთ და არა თქვენს და ჩემს სურვილებს. 22 დეკემბერს დილის 11 საათზე მე ჩემი მედიატორებით, თუ თანახმა ხართ ჩემი წინადადებისა, დანიშნეთ ადგილი და მედიატორებთან ერთად გეახლებით.

ვასო ჭიჟავა.

*) რედაქცია სპობს ყოველგვარ კამათს ამ საგნ ს შესახებ. არც ერთს მხარეს წერილს აღარ დაუბეჭდავს.

რედაქცია.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო".



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | —11 ს. — | „ |
| „ | ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 | „ |

საჭიროა ბინა 4—6 ოთახით და სამზარეულოთი დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრანომისთვის. იღეივდ როთი: აბოინის შესახვევი. მთავრობის და ერობის აგრანომის კანცელარია.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ვაცხადებთ ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ, ვინაიდან ბევრ მათგანს ამ წლის გაზეთის ფასი სრულათ არ აქვთ შემოტანილი, თითოეულს მათგანს ეგზავნება კერძო ბარათები აღნიშვნით, თუ ვის რამდენი მართებს. ამის შემდეგ, ვინც მიმდინარე წლის გაზეთის ანგარიშს არ გაასწორებს, შემდეგისთვის აღარ დაიკვეთს და ფულს არ წარმოადგენს, იმათ გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზ. „სამშობლოს" კანტორა.

III წ. მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. III წ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

## ცხოვრებაზე

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით, ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი მესამე). ჟურნალი ეღირება წლიურათ 6 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 75 კ. თვიურათ 65 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ Романозу Спиридоновичу Панцхава.

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი

ქართული კედლის კალენდარი

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ქუთაისში

ფასი 4 აბაზი.

ქ თფილისში დაარსდა

მელნის ქარხანა

## „ალაროდია"

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,

ალიზარინის ფერისას

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით. ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.

მელანი ასლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება ადგილობრივ თუ გაგზავნით.

მისამართი. თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია".

სალი კუჭი

## ჟელაგარი ექ. ვეზისა

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ყაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სათვადარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი ჟელაგარი ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასწებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგან. ჟელაგარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ ჟელაგარს ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი ჟელაგარი ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქუთაისში ა. პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)